

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 150

(18. 09. 2009 წ.)

სტუ-ის ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის ღირებულების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ნაწილობრივი ცვლილება სტუ-ის აკადემიური საბჭოს 03.10.07 წლის № 21 ოქმის დღის წესრიგის მესამე საკითხის დადგენილებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მაგისტრატურაში სწავლის ღირებულება ერთი წლის განმავლობაში დარჩეს იმ რაოდენობის რაც დადგენილია ფაკულტეტების მიხედვით:

– სამშენებლო	-2000
– ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	-2250
– სამთო- გეოლოგია	-2000
– ქიმიური ტექნ. და მეტალურგია	-2000
– სატრანსპორტო და მანქანათმშენ.	-2250
– არქიტექტურა	-2000
– ჰუმანიტარულ-სოციალური	-2250
– ინფორმატიკა და მართვის სისტ.	-2250

დოქტორანტურაში სწავლის ღირებულება გაუთანაბრდეს ბაკალავრიატში სწავლის ღირებულებას.

2. თითოეულ ფაკულტეტზე დოქტორანტურიდან შემოსული თანხის 5% (ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის და სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტებისათვის 10%) მოხმარდეს დოქტორანტურაში სწავლების გრანტების დაფინანსებას, რომლის განაწილებაც მოხდება ფაკულტეტების მიხედვით.
3. ეთხოვოს სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს აღნიშნულ დადგენილებების დამტკიცება.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი

(ა. ფრანგიშვილი)

აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი

(გ. სალუქვაძე)